

<b>საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება</b>	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: <a href="mailto:info@bsu.edu.ge">info@bsu.edu.ge</a>
<b>საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება</b>	<b>ბიორგანული ქიმია</b> აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის (დოქტორანტურა) საგანმანათლებლო პროგრამა
<b>მისანიჭებული კვალიფიკაცია</b>	<b>ქიმიის დოქტორი</b>
<b>პროგრამის მოცულობა კრედიტებში</b>	პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს: სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი, მათ შორის 45 კრედიტი სავალდებულოა, ხოლო 15 კრედიტი ეთმობა არჩევით კურსებს. სამეცნიერო კომპონენტისათვის განკუთვნილია 120 კრედიტი, რომელიც მოიცავს დოქტორანტის ორ კოლოკვიუმს (თითოეული 20 კრედიტის ოდენობით) და სადისერტაციო ნაშრომის შესრულებას - 80 კრედიტის ოდენობით.
<b>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</b>	პროგრამის მიზანია სამხრეთ კოლხეთის (აჭარის) უნიკალური ბიომრავალფეროვნების (აბორიგენული და არაადგილობრივი) და საქართველოს შავი ზღვის სანაპიროსა და მტკნარი წყალსატევების მცენარეული რესურსების კომპლექსური ქიმიური კვლევა მათი რაციონალური გამოყენებისა და დაცვის მიზნით; ბიოლოგიური ობიექტების ფიზიოლოგიურად და ბიოლოგიურად აქტიურ ნაერთა ქიმიური შედეგნილობის შესწავლა, ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების თვისობრივი რეაქციების საშუალებით ქიმიური კლასის განსაზღვრა, გამოყოფა და იდენტიფიკაცია, სტრუქტურისა და ბიოაქტურობის კორელაციის შესწავლა, მათგან ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებით მდიდარი კონცენტრატების, პრეპარატების, ბუნებრივი საღებავების მიღების ტექნოლოგიის შემუშავება. ასევე, პროგრამის მიზანია, დოქტორანტის კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბება, რომელიც თანამედროვე ხელსაწყო-მოწყობილობების გამოყენებით დამოუკიდებლად გეგმავს და აწარმოებს კვლევებს; ღებულობს ღრმა და სისტემურ უახლეს სამეცნიერო ინიციატივას, განახორციელებს ინივაციურ კვლევებს; შეიძებს ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების გაანალიზების, სინთეზის და შეფასების, საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში უცხოურ ენაზე ჩართვის უნარს, აგრეთვე აღიჭურვება ღირებულებათა დამკვიდრების გზების სისტემატიური კვლევის უნარით.
<b>სწავლის შედეგები</b>	პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორს ექნება ქიმიური მეცნიერებების, როგორც სისტემის ცალკეული დარგის, ქვედარგისა თუ დარგთაშორისი სფეროების უახლეს მეცნიერულ მიღწევათა გააზრებისა და მისი საკვალიფიკაციო მიმართულებით გამოყენების შესაძლებლობა. შეძლებს დამოუკიდებლად დაგეგმოს ინოვაციური კვლევა ბიოორგანულ ქიმიაში. კვლევის ობიექტიდან გამომდინარე, ადაპტირება გაუკეთოს ან შეიმუშაოს ახალი კვლევითი და ანალიზური მეთოდები და აწარმოოს აქტიური კვლევა; პროგრამის ფარგლებში შეძლილი ცოდნა და მეცნიერული გამოცდილება, ახალი გამოკვლევების ჩატარება და ანალიზი, დოქტორს შესაძლებლობას მისცემს კვლევის შედეგებზე დაყრდნობით საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი პუბლიკაციების მომზადებას მაღალ რეიტინგული ჟურნალებისათვის; ქიმიური კვლევების საფუძველზე მიღებული შედეგების გაანალიზებას, სინთეზს, შეფასებას და დასკვნების გამოტანას. შეძლებს: ქიმიის დარგში თავისი კვლევის შედეგების შესახებ კომუნიკაციას ქართველ და უცხოელ მეცნიერებთან; თავისი შეხედულებების, იდეების მეცნიერულად დამტკიცებას და პოლემიკაში ჩართვას ბიოორგანული ქიმიის, თუ ზოგადად ქიმიის სპეციალისტებთან; შეძლებს ბიოორგანულ ქიმიაში სწავლის პროცესის დაგეგმვას, მართვას და ცოდნის გადაცემას უმაღლესი განათლების სხვა საფეხურის სტუდენტებისათვის. ქიმიის დოქტორი პროფესიულ საქმიანობაში გამოიყენებს სამეცნიერო ეთიკის ძირითად პრინციპებს (ციტირების კულტურას, კოლეგიალობას, პუბლიკაციებში ავტორობის თანმიმდევრობის დაცვის პრინციპებს, პლაგიატის უარყოფა და სხვა); როგორც მაღალი საუნივერსიტეტო კულტურისა და ფართო ერუდიციის მკვლევარს, შეძლება ახალი ღირებულებების დამკვიდრება რომლებიც მნიშვნელოვანია ქვეყნის ყოველმხრივი განვითარებისათვის.

შეფასების წესი	<p><b>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</b></p> <p>ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.</p> <p><b>სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება სისტემის მიხედვით:</b></p> <p>ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;</p> <p>ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;</p> <p>გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;</p> <p>დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;</p> <p>ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;</p> <p>ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;</p> <p>ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.</p>
საკონტაქტო პირი	<p>პროგრამის ხელმძღვანელი:</p> <p><b>მაია ვანიძე, ასოცირებული პროფესორი, ქიმიის დეპარტამენტი</b>    ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის #93/99 ბ. 21    ტელეფონი: (+995) 599 18 23 22; (+995) 577 73 55 44    ელ-ფოსტა: vanidze.maia@bsu.edu.ge</p>